შემოსავლების
სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი

ბრძანება N 38951

20/10/2015

ი/მ "ჯამბულ აბულაძე"-ს (ს/ნ 03001016768)
საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმების
განახლებისა და ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის N290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციის 113-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების" (დანართი №12) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განახლდეს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2013 წლის 20 აგვისტოს N39828 ბრძანებით დანიშნული, ი/მ "ჯამბულ აბულაძე"-ს (ს/ნ 03001016768) საქონლის გაშვების შემდგომი გასვლითი შემოწმება და შემოწმების ვადა განისაზღვროს 2015 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით.

2. საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ჩატარება მიხეილ ბერიძისა და გიორგი უზნაძის ნაცვლად, დაევალოს საბაჟო დეპარტამენტის საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების სამმართველოს გაშვების შემდგომი შემოწმების უფროს აუდიტორს - ლაშა ცომაიას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XIV კარით დადგენილი წესით, მისი ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში – წერილობითი ან ელექტრონული ფორმით საჩივრის შემოსავლების სამსახურში (მის: ქ.თბილისი, ვ. გორგასალის ქ. №16 ან ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №5) წარდგენის გზით. აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6 ან ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვლადიმერ ხუნდაძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი